

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/02

თბილისი

“ 17 “ იანვარი 2022 წ.

**გაზაფხულის სემესტრში მობილობის ვადების, ვაკანტური ადგილების და წარმოსადგენი
დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2022 წლის 11 იანვრის N1.1/1 ბრძანების „2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-10 მუხლის 10.6. პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-9 მუხლის, სამართლის ფაკულტეტის და ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანების წარდგინებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

I. დამტკიცდეს 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების და სამართლის ფაკულტეტებზე სუდენტთა მობილობის განხორციელების მიზნით შემდეგი ვაკანტური ადგილები:

**ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:**

- ბიზნესის ადმინისტრირება - (მენეჯმენტი, მარკეტინგი) - 40 ადგილი.
- ბიზნესის ადმინისტრირება - (ფინანსები) - 20 ადგილი.
- ტურიზმი - 30 ადგილი.
- ჟურნალისტიკა - 30 ადგილი.
- ფსიქოლოგია - 40 ადგილი.

- **შენიშვნა:** ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსზე გადმომსვლელ სტუდენტებს საშუალება ექნებათ სწავლა გააგრძელონ მენეჯმენტის სპეციალობაზე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი - 20 ადგილი.
- საბანკო საქმე - 20 ადგილი.
- მასობრივი კომუნიკაცია - 15 ადგილი.

სამართლის ფაკულტეტი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სამართალი - 50 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სისხლის სამართალი - 20 ადგილი.
- კერძო სამართალი - 20 ადგილი.

II. 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით განისაზღვროს შემდეგი ვადები:

1. ელექტრონულ პორტალზე დადებითი შედეგის შემთხვევაში სტუდენტის უნივერსიტეტში გამოცხადების/ონლაინ რეგისტრაციის და აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის ვადა - 2022 წლის 11 თებერვლიდან -17 თებერვლის ჩათვლით.
2. სასწავლო უნივერსიტეტში მობილობით გადმოსვლის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა 2022 წლის 11 თებერვლიდან -17 თებერვლის ჩათვლით.
3. მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა სამართლებრივი აქტის პროექტის სასწავლო უნივერსიტეტის რეესტრში ელექტრონულად ასახვის ვადა - 2022 წლის 18 თებერვალი;
4. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე ბრძანების გამოცემის ვადა - 2022 წლის 01 მარტამდე.
5. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვის ვადა - 2022 წლის 03 მარტის ჩათვლით.
6. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების მართვის სისტემაში წარდგენის ვადა - 2022 წლის 03 მარტის ჩათვლით.
7. მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემის ვადა - 2022 წლის 06 მარტის ჩათვლით.
9. მობილობით გადასული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების (თანდართული ელექტრონული ვერსიით) მართვის სისტემაში წარდგენის ვადა - 2022 წლის 07 მარტამდე.
10. მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული ბრძანებიდან ამონაწერის (თანდართული დოკუმენტებით) გაცემის ვადა - სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირა.

III. განისაზღვროს 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში მობილობის მსურველ პირთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება (რექტორის სახელზე);
- სრული ზოგადი/უმადლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის);
- სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;
- სტუდენტის სასწავლო ბარათი (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით).

IV. დოკუმენტების მიღება დაევალოს რექტორის და ადმინისტრაციული დირექტორის აპარატის უფროსს.

V. სასწავლო უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს სასწავლო დარგში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სასწავლო პროცესის მართვისა და მეცნიერების სამსახურთან შეთანხმებით.

VI. მობილობით გადმოსული სტუდენტების მიმდინარე წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასური განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარით.

VII. ბრძანების სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს სასწავლო უნივერსიტეტის მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.

VIII. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

XI. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის**

რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი

ადმინისტრაციული დირექტორი
ელისო ელისაშვილი